+1
943

უფასო
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების
ხალხალ. კომისარიატის ბრძა-
ნებათა და განკარგულებათა

კრებული

№ 3—4 | წელიწადი მეექვსე | 1943 წ.

შინაარსი

1. ბრძანება № 374 საყოველთაო-სავალდებულო სწავლების განხორციელების შემოწმების შედეგების შესახებ 2
2. ბრძანება № 48 ბოგდანოვკის რაიონის პოლიტ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობის გამორკვევის შედეგების შესახებ 5
3. დადგენილება განსახკომის კოლეგიისა ნახმარ სტაბილურ სახელმძღვანელოების შესყიდვის შესახებ 8
4. ინსტრუქცია-სასკოლო სახელმძღვანელოების სკოლის მეშვეობით ყიდვა-გაყიდვის წესის შესახებ 9
5. ბრძანება № 1006—თბილისისა და ქუთაისის რამდენიმე სკოლაში მოსწავლეთა აღზრდის დარგში არსებული დემახინჯების აღკვეთის შესახებ 13
6. ბრძანება № 1149—ქუთაისის და სამტრედიის რაიონის ზოგიერთი სკოლის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა და დამახინჯებათა შესახებ 16
7. ცირკულარულად—წვევანდელთა შორის რუსული ენის სწავლების შესახებ 20
8. ცირკულარულად—საგაზაფხულო თესვის სანიმუშოდ ჩატარებისათვის 22

თბილისი—1943

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 374

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატისადმი

1943 წლის 6 თებერვალი

საქართველოს სსრ-ში საყოველთაო-სავალდებულო სწავლების განხორციელების შემოწმების შედეგების შესახებ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) კ. კ-ის 1943 წლის 30 იანვრის დადგენილების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაეკალოს აჭარის და აფხაზეთის ასსრ განსახკომებს, სამხრეთ ოსეთის ავტ. ოლქის სახალხო განათლების განყოფილებას, მშრომელთა დეპუტატების რაიონულ და საქალაქო საბჭოების აღმასკომების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებს:

ა) 5 დღის ვადაში დააზუსტონ საყოველთაო-სავალდებულო სწავლების განხორციელების მდგომარეობა რაიონში (ქალაქში) სკოლის გარეშე დარჩენილი და სკოლიდან განთავისუფლებულ მოსწავლეთა რაოდენობა, სკოლაში ჩაბმულ მოსწავლეთა მეცადინეობაზე დასწრების მდგომარეობა, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში მონაწილეობის გამო მეცადინეობიდან მოწყვეტის ფაქტები, დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი აოსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად და წარუდგინონ მშრომელთა დეპუტატების რაიონულ (საქალაქო) საბჭოების აღმასკომებს სათანადო ზომების მისაღებად;

ბ) დაუყოვნებლივ შეამოწმონ, რამდენად არიან სკოლები უზრუნველყოფილნი სათბობი მასალით და რომელი სკოლის შენობას ესაჭიროება აუცილებელი მიმდინარე რემონტი (სახურავის, ღუმელის, ფანჯრების), შეჯამებული მასალები სათანადო შეამდგომლობით წარუდგინონ მშრომელთა დეპუტატების რაიონულ (საქალაქო) საბჭოების აღმასკომებს, რომ უმოკლეს ვადაში ყველა სკოლა უზრუნველყოფილი იქნეს ზამთრის პერიოდისათვის საჭირო სათბობი მასალით და სასკოლო შენობებს გაუკეთდეს აუცილებელი მიმდინარე რემონტი;

გ) ერთი დეკადის ვადაში დააზუსტონ წითელი არმიის რიგებში გაწვეულ მოქალაქეთა და ხელმოკლე და მრავალშვილიან მშობელთა შვილების—მოსწავლეთა სიები, დასახონ ღონისძიებანი მათთვის

ტანსაცმელის, ფეხსაცმელის, სახელმძღვანელოების, სასწავლო ნივთების შეძენის და სხვა სახით დახმარების აღმოჩენისათვის და მიიღონ ზომები ადგილობრივი ორგანოების დახმარებით ამ ღონისძიებათა განხორციელებისათვის;

დ) დაუკავშირდნენ სარეწაო საბჭოს და კოოპინკავშირის ადგილობრივ ორგანიზაციებს და მიაღწიონ იმას, რომ ფეხსაცმლის შემკეთებელ სახელოსნოებში პირველ რიგში ეწყობოდეს მოსწავლეთა ფეხსაცმელების შეკეთება;

ე) წითელი არმიის რიგებში მასწავლებელთა გაწვევის გამო სკოლების პედაგოგიურ პერსონალის ხშირ ცვლასთან დაკავშირებით მეცადინეობის გაცდენის შემთხვევების თავიდან აცილების უზრუნველსაყოფად ზუსტად იხელმძღვანელონ განსაკომის სათანადო დირექტივით (1942 წლის 4/12—№—7606), იქონიონ ზუსტი აღრიცხვა პედაგოგიური განათლების მქონე პირებისა, რომელნიც ამჟამად რაიონში სხვა სამუშაოზე მუშაობენ, აგრეთვე იმ პირებისა, რომელთაც ზოგადი განათლება აქვთ, მაგრამ შეიძლება გამოყენებულ იქნენ პედსამუშაოზე, რომ განთავისუფლებულ ადგილებზე სასწრაფოდ იქნენ დანიშნულნი; საჭირო შემთხვევაში მოახდინონ მასწავლებელთა გადაჯგუფება და დაწინაურება; ჩატარებული ცვლილებების და დამატებით საჭირო კადრის შესახებ მოხსენება დაუყოვნებლივ წარმოადგინონ განსახკომში;

ვ) გადაჭრით გააუმჯობესონ რაიპედკაბინეტის და პედაგოგიური გაერთიანებების მუშაობა და საჭირო დახმარება გაუწიონ განსაკუთრებით სკოლების ახლად დანიშნულ დირექტორებს, გამგეებს და მასწავლებლებს;

ზ) სისტემატური კონტროლი გაუწიონ სკოლებს საყოველთაო-სავალდებულო სწავლების განხორციელების საქმეში და გადამჭრელი ზომები მიიღონ სკოლების იმ დირექტორების, გამგეების და მასწავლებელთა მიმართ, რომელნიც საყოველთაო-სავალდებულო სწავლების გატარებისადმი გულგრილობას გამოიჩენენ;

თ) ჩატარებული მუშაობისა და მიღწეული შედეგების შესახებ წარმომიდგინონ მოხსენება ა/წ 1 მარტისათვის, ხოლო შემდეგ ყოველი კვარტალის მუშაობის ანგარიშში აღნიშნულ საკითხებს განსაკუთრებული ადგილი დაუთმონ;

2. დაევალოს განსახკომის დაწყებითი და საშუალო სკოლის, საგეგმო-საფინანსო და კადრების სამმართველოებს:

ა) თებერვლის თვის განმავლობაში შეამოწმონ ადგილზე 5 რაიონში საყოველთაო-სავალდებულო სწავლების განხორციელების საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის მიღებულ ღო-

ნისძიებათა გატარების მდგომარეობა და გაუწიონ დახმარება სკოლებსა და სახალხო განათლების ადგილობრივ ორგანოებს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) ასპინძის აზერბაიჯანული საშუალო სკოლის მე-8, 9 და 10 კლასები 10 თებერვლამდე გადააკეთონ პედაგოგიურ სასწავლებლად, დააკომპლექტონ შესაფერისი პედაგოგიური კადრით, უზრუნველჰყონ სათანადო ხარჯთაღრიცხვით, სასწავლო გეგმით, პროგრამებით და გაუწიონ დახმარება მუშაობის წარმატებით გაწლისა და მართებულად დაყენებისათვის;

გ) ბორჩალოს და ახალციხის პედაგოგიურ სასწავლებლებთან ა.წ. 15 თებერვლამდე ჩამოაყალიბონ პედასწავლებლის დაუსწრებელი სექტორი აზერბაიჯანული დაწყებითი სკოლების იმ მასწავლებლებთათვის, რომელთაც არა აქვთ მიღებული საშუალო პედაგოგიური განათლება, აღნიშნული სექტორები დააკომპლექტონ კვალიფიციური პედაგოგიური პერსონალით, უზრუნველყონ სათანადო ხარჯთაღრიცხვით, სასწავლო გეგმით, პროგრამებით, ადგილობრივი სახალხო განათლების ორგანოების მეშვეობით ჩაიბან სწავლებაში აზერბაიჯანული სკოლების ის მასწავლებლები, რომელთაც საშუალო პედაგოგიური განათლება არა აქვთ, და გაუწიონ საჭირო დახმარება აღნიშნულ სექტორის მუშაობას;

დ) ა/წ 1 აპრილამდე შეადგინონ გეგმა არასრული საშუალო და საშუალო სკოლების ახლად დანიშნული დირექტორების, სასწავლო ნაწილის გამგეების და დაწყებითი სკოლების გამგეების გადასამზადებელი (15 დღიან კურსებისა) 400 კაცისათვის, მათ შორის აზერბაიჯანული სკოლებიდან (150 კაცისათვის) და წარმომიდგინონ მე დასამტკიცებლად;

ე) სახალხო განათლების რაიონულ (საქალაქო) განყოფილებების მიერ წარმოდგენილ მასალებისა და განსახკომის სათანადო სამმართველოების მიერ ადგილებზე ჩატარებული მუშაობის საფუძველზე 5 მარტამდე წარმომიდგინონ მოხსენება საქართველოს სსრ საყოველთაო-სავალდებულო სწავლების განხორციელების საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ღონისძიებათა გატარების მდგომარეობის შესახებ;

3. დაევალოს განსახკომის კაპიტალურ მშენებლობის სამმართველოს შეადგინოს სკოლების მიმდინარე რემონტისათვის გამოყოფილი 500 კვ. მეტრი მინის და 1 ტონა სახურავი თუნუქის რაიონებზე განაწილების პროექტი და წარმომიდგინოს მე დასამტკიცებლად 2 დღის ვადაში.

4. საგეგმო-საფინანსო და დაწყებითი და საშუალო სკოლების სამმართველოებმა შეადგინონ პროექტი 300 კომპლექტიან საწოლის

თეთრეულის განაწილებისა, რომელიც პედაგოგიური სასწავლებლის ბისათვის მზადდება მშრომელთა დეპუტატების თბილისის რაიონის საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების მიერ და წარმომიდგენონ მე დასამტკიცებლად ორი დღის ვადაში.

5. დაწყებითი და საშუალო სკოლის სამმართველომ სათანადო სახალხო განათლების განყოფილებათა მეშვეობით დახმარება გაუწიოს პედაგოგიურ სასწავლებლებს მოსწავლეთათვის სასადილოებისა და ბუფეტების ორგანიზაციის საქმეში.

6 განსახკომის დაწყებითი და საშუალო სკოლის და კადრების სამმართველოებმა უზრუნველყონ საყოველთაო-სავალდებულო სწავლების განხორციელების მიმდინარეობის საქმეში (სკოლის ასაკის ბავშვთა ზუსტი აღრიცხვა, მასობრივი ახსნა-განმარტებითი მუშაობის გაშლა მოსახლეობაში და ბავშვთა მთლიანი ჩაბმა სკოლაში, მეცადინეობაზე მოსწავლეთა დასწრება, სკოლების უზრუნველყოფა პედკადრით, მეთოდური მუშაობის გაუმჯობესება) სკოლებისა და სახალხო განათლების ორგანოებისათვის დახმარების გაწევა და სისტემატური კონტროლის გაძლიერება.

საქ. სსრ განათლების სახალხო კომისარი ბ. ციცნაძე

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №—48

განათლების სახალხო კომისარიატისადმი

1943 წ. 5 იანვარი

გავეცანი რა ბოგდანოვკის რაიონის პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მდგომარეობისა და მუშაობის გამორკვევის მასალებს, აგრეთვე მოვისმინე რა ამავე რაიონის სახალხო განათლების განყოფილების გამგის ამხ. ნ. აკოფიანის მოხსენება, აღვნიშნავ, რომ რაიონის პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა უმრავლესობის მუშაობა არ დგას სათანადო სიმაღლეზე.

სარაიონო ბიბლიოთეკას არა აქვს სამხედრო-თავდაცვითი ლიტერატურა. არ გააჩნია ლოზუნგები და პლაკატები, არ არის ორგანიზებული წიგნების გამოფენა, არ სწარმოებს საცნობო-ბიბლიოგრაფიული მუშაობა, არ არის შედგენილი ლიტერატურის სარეკომენდაციო სიები, არ არის მოწყობილი საგაზეთო ვიტრინები და ა. შ. შენობა არ არის მზად საზამთრო მუშაობისათვის, არ არის მოგვარებული გათბობა და განათება, ადგილი აქვს კადრების დენაღობას, სათანადოდ არ ხდება ბიბლიოთეკის წიგნობრივი ფონდის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიღება-გადაბარების გაფორმება. ბიბლიოთეკა ხშირად გადაეკიდებოდა ერთი შენობიდან მეორეში, რის გამო ადგილი აქვს წიგნების გაფუჭებასა და დაკარგვას.

სარაიონო კლუბს არა აქვს სამუშაო გეგმა, არ სწარმოებს აგროტექპროპაგანდა, სამხედრო-თავდაცვითი მუშაობა, ძალიანად არ არის ჩაბმული ადგილობრივი ინტელიგენციის აქტივი.

განძის კლუბის დარბაზი გამოყენებულია მარცვლეულის საწყობად.

საღამოს საათებში მომუშავე ქოხ-სამკითხველო არ არის უზრუნველყოფილი კულტინვენტარით, ლიტერატურით (სულ აქვს ძველი გამოცემის 50 წიგნი), არ იღებს არც ერთ გაზეთს, არა აქვს ლოზუნგები, პლაკატები.

ქოხ-სამკითხველოს გამგე მარდან ხურშუდოვი გამოყენებულია სასოფლო-საბჭოს მიერ სამეურნეო დავალებათა შესასრულებლად და ხშირად არ იმყოფება სოფელში, რის გამოც ქოხ-სამკითხველო ხშირად დაკეტილია.

საათხის ქოხ-სამკითხველო წარმოადგენს ცარიელ ოთახს ჩამტკრეული მინებით, ქოხ-სამკითხველოს გამგემ გოჭარიკ ამირხანოვმა ვერ შესძლო მომზადებულიყო საზამთრო მუშაობისათვის, არ არის გათბობა, განათება, და ა. შ. მას არა აქვს სამუშაო გეგმა.

სრულიად მოუწყობელია ჟდანოვკანის ქოხ-სამკითხველო, არ სწარმოებს არავითარი მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა, არა აქვს სამუშაო გეგმა, არ იღებს გაზეთებსა და ჟურნალებს.

ადგილობრივი სასოფლო ორგანიზაციები, განსაკუთრებით სკოლები და მასწავლებლები არ უწევენ დახმარებას პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებებს.

პოლიტმასობრივ მუშაობაში სოფლად უგულებელყოფილია პოლიტგანდაწესებულებათა როლი, მათთან არ არის ჩამოყალიბებული აგიტპუნქტები.

სუსტად არის დაყენებული მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა, აგრეთვე გორელოვის კლუბში, ეფრემოვკის, სპასოვკის და კალინის ქოხსამკითხველოებში.

რაიონის პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მიერ არა დამაკმაყოფილებლად არის ათვისებული ბიუჯეტი, რადგან სასოფლო საბჭოები თავის დროზე არ აძლევენ მათ სახსრებს.

პოლიტგანდაწესებულებებს საათნადო ხელმძღვანელობას არ უწევს სახალხო განათლების სარაიონო განყოფილება.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

ბოგდანოვკის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების გამგემ:

ა) ერთი თვის ვადაში უზრუნველჰყოს პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებანი კვალიფიციური კადრებით; შესცვალოს შეუფერებელი პოლიტგანმუშაკები შეთავსებით მოწინავე მასწავლებლებით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) დასვას საკითხი სარაიონო აღმასკომის წინაშე პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებათათვის ლიტერატურის, გაზეთებისა და ჟურნალების, მოწყობილობის შეძენისა და სხვ. სტენოგრამების ბიუჯეტით გათვალისწინებულ სახსრების თავის დროზე და შეუფერხებლად გაცემის შესახებ და გაუწიოს დახმარება პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებებს ამ სახსრების პირდაპირი დანიშნულებით ათვისების საქმეში;

გ) გამოჰყოს სპეციალური კომისია სარაიონო ბიბლიოთეკის წიგნობრივი ფონდის შესამოწმებლად, დაადგინოს დანაკლისი წიგნების რაოდენობა და ღირებულება და ამ საქმეში დამნაშავენი მისცეს პასუხისგებაში;

დ) დასვას საკითხი შესაფერის რაიონული ორგანიზაციების წინაშე რაიონის პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა უზრუნველყოფის მიზნით, მათთვის ჟურნალებსა და გაზეთებზე ლიმიტის გამოყოფის შესახებ; მიიღოს ზომები მათ დასაკომპლექტებლად სამხედრო-თავდაცვითი, პოლიტიკური, სასოფლო-სამეურნეო და მხატვრული ლიტერატურით;

ე) პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობის შემდგომი ამაღლებისა და გაუმჯობესების მიზნით იხელმძღვანელოს განათლების სარაიონო განყოფილებათა გამგეების 1942 წლის 24 აპრილის რესპუბლიკური თათბირის რეზოლუციით, 1942 წლის 22 თებერვლის ინსტრუქციით, საქ. სსრ განსახკომის 1942 წლის 23/1 № 334 ინსტრუქციით, 1942 წლის 31 მარტის — №№—2072—ბ და 2073-ა, 1942 წლის 22 თებერვლის № 5919 ბრძანებებით და მეთოდური და სადირექტივო წერილებით.

2. ბოგდანოვკის რაიონის განათლების განყოფილების გამგე ამხ. ნახაპეტ აკოფიანი ღირსია მკაცრი სასჯელისა, მაგრამ ვიღებრა მხედველობაში, რომ ამხ. აკოფიანი მცირე ხანია მუშაობს ამ თანამდებობაზე, მეეთითოს მას რაიონის პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებებისადმი სათანადო ხელმძღვანელობის გაუწევლობისათვის ვაფრთხილებ ამხ. აკოფიანს, თუ იგი უახლოეს ვადაში ამ მიმართულებით არ გარდაჭმნის თავის მუშობას, მის მიმართ მიღებული იქნება სასჯელის უფრო მკაცრი ზომები.

3. დაივალოს ბიბლიოთეკათმეცოდნეობისა და სარეკომენდაციო ბიბლიოგრაფიის რესპუბლიკურ კაბინეტს, საჭირო მეთოდური დახმარება აღმოუჩინოს სარაიონო ბიბლიოთეკას საბიბლიოთეკო ტექნიკისა და წიგნების დაკომპლექტების საქმეში.

4. საქართველოს სსრ განსახკომის პოლიტგანმუშაობის სამმართველოს უფროსმა ამხ. ა. გაბისონიამ, თვალყური ადევნოს ამ ბრძანების შესრულებას და შედეგებზე მომახსენოს მე.

5. წინადადება მიეცეს სახალხო განათლების სარაიონო და საქალაქო განათლების განყოფილებათა გამგეებს, განიხილონ ეს ბრძანება და დასახონ შესაფერისი ღონისძიებანი.

საქართველოს სსრ განათლების სახ. კომისარი ბ. ძიძინაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსახკომის კოლეგიის დადგენილება

ნახმარ სტაბილურ სახელმძღვანელოების შესყიდვის შესახებ

1943 წ. 30 აპრილი

კოლეგია აღნიშნავს, რომ ომის შედეგად შექმნილი პირობების გამო 1943/44 სასწავლო წლისათვის ახალი სახელმძღვანელო წიგნების გამოცემა ფერხდება და მომავალ წელს მოსწავლეები ძირითადად უნდა იქნენ დაკმაყოფილებული გასულ წლებში გამოცემულ ხმარებაში მყოფ სტაბილურ სახელმძღვანელო წიგნებით და გამომდინარე აქედან ადგენს:

1. დაწყებითი და საშუალო სკოლის სამმართველოს მიერ წარმოდგენილი ნახმარ სტაბილურ სახელმძღვანელოების შესყიდვის გეგმის პროექტი 1.036.260 ცალის რაოდენობით დამტკიცდეს შემდეგი განაწილებით:

სახელმძღვანელოები	აფხაზეთის ასსრ	აჭარის ასსრ	სამხ. ოსეთის აფმ. რ.	დანარჩენი ფედერაციული რესპუბლიკები	ჯამი
1. ქართულ სკოლების სახელმძღვანელოები . .	23.300	37.000	11.630	753.130	825.060
2. რუსულ სკოლების სახელმძღვანელოები . .	17.250	—	—	97.630	114.880
3. სომხურ სკოლების სახელმძღვანელოები . .	8.800	—	—	44.270	53.070
4. აზერბაიჯანულ სკოლების სახელმძღვანელოები	—	—	—	43.250	43.250
სულ . .	49.350	37.000	11.630	938.280	1.036260

2. ნახმარ სტაბილურ სახელმძღვანელოების შესყიდვისა და მოსწავლეებზე მიყიდვის საქმის ორგანიზება, გასული წლის პრაქტიკის მიხედვით, დაეკისროს სკოლებს.

3. ნახმარ სტაბილურ სახელმძღვანელოების შესყიდვა-მიყიდვის და ანგარიშგების საქმეში გამოყენებული იქნეს გასულ წელში არსებული ინსტრუქცია (თან ერთვის).

4. წარმოდგენილი გეგმები სახელმძღვანელოების შესყიდვის შესახებ ასსრ რესპუბლიკებისა, სამხრეთ ოსეთის ა. ო. და საქართველოს სსრ ქალაქებისა და რაიონების მიხედვით დამტკიცდეს, დაევალოს დაწყებითი და საშუალო სკოლის სამმართველოს ა/წ 25 აპრილამდე დაიყვანოს ადგილებამდე სახელმძღვანელოების შესყიდვის გეგმები და სისტემატურად უხელმძღვანელოს მათ გეგმის შესრულების საქმეში.

ინსტრუქცია

სასკოლო სახელმძღვანელოების სკოლის მეშვეობით ყიდვა-გაყიდვის წესის შესახებ

საქართველოს სსრ სკოლების ახალი სასწავლო წლისათვის მზადების ღონისძიებათა შესახებ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1942 წლის 13 აგვისტოს (№ 1259) ბრძანების შესაბამისად სასკოლო სახელმძღვანელოების ყიდვა-გაყიდვის საქმეში მიღებულ იქნეს შემდეგი წესი:

1. სახელმძღვანელოების გაყიდვა მოსწავლეებზე სწარმოებს მხოლოდ სკოლის მეშვეობით.

2. სახელგამის მიერ გამოცემულ ახალი სასწავლო სახელმძღვანელოების რაიონებში შეტანის გეგმა მტკიცდება საქართველოს სსრ განსახკომის მიერ, ხოლო აფხაზეთისა და აჭარის სსრ და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სახელგამების მიერ გამოცემულისა — აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განსახკომებისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო განათლების საოლქო განყოფილების მიერ.

3. სახელგამისა და ცეკავშირის ადგილობრივ სავაჭრო ორგანიზაციებს ახალი სახელმძღვანელოები შემოაქვთ შესაბამ სახალხო განათლების ორგანოების განრიგით და მათი გაყიდვა სწარმოებს სკოლის ადმინისტრაციის მიერ.

4. სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტები აწესებენ იმ თანხის რაოდენობას, რაც უნდა მიეცეს ავანსის სახით სკოლების დირექტორებს (გამგეებს) სახელმძღვანელოების შესასყიდად.

5. ავანსის სახით სკოლებისათვის გასაცემ საჭირო თანხებსა-სარაიონო საფინანსო განყოფილებები გადასცემენ სახალხო განათ-ლების განყოფილებათა განკარგულებაში. განათლების განყოფილე-ბანი ვალდებულნი არიან ეს თანხები 1943 წლის 15 დეკემბრისათვის ბიუჯეტში უკანვე დააბრუნონ.

6. ნახმარ სახელმძღვანელოების შესყიდვა სწარმოებს სკოლებში საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1942 წლის 13 აპრილის დადგენი-ლების შესაბამისად.

7. სკოლაში შესყიდული ნახმარი სახელმძღვანელოები, რო-გორც წესი, უნდა გაიყიდოს ამავე სკოლაში, სახელმძღვანელოების ზედმეტი რაოდენობა სკოლიდან გააქვს სახალხო განათლების განყოფილებას რაიონის დანარჩენ სკოლების მოსწავლეებზე გასასყიდად.

8. სკოლების დირექტორები (გამგეები) ვალდებულნი არიან შემოიღონ სკოლებში შემოტანილი ახალი და მოსწავლეთა მიერ ჩაბარებული ნახმარ სახელმძღვანელოების აღრიცხვა და სისტემატუ-რად აწარმოონ მოსწავლეთა შორის ახსნა-განმარტებითი მუშაობა წერგნების შენახვა-მოვლისა და მათი დაწესებულ ფასებში სასკოლო სახელმძღვანელოების ფონდში აუცილებლად ჩაბარებისათვის.

სსსრ განათლების სახ. კომის-რის მოადგილე მ. ბურჯულაძე

საქ. სსრ ფინანსთა სახ. კომის-რის მოადგილე ბ. ჩხეიძე

სახელგამის დირექტორი ნ. კიკნაძე

ც/კავშირის გამგეობის თავ-რის მოადგილე მაისურაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1942-43 სასწავლო წელში ნახმარ სტაბილურ სახელმ. ძღვანელოგების შესყიდვის გეგმა

	რაიონები	ნახმარ სტაბილურ სახელ.ძღვ.ნელოგების შესყიდვის გეგმა 1942-43 სასწ. წელში				
		ს ულ	მ ა თ შ ო რ ი ს			
			ქართული სკოლ.	რუსული სკოლ.	სომბ. სკოლ.	აზერბ. სკოლ.
1	აბაშის	21.850	21 850	—	—	—
2	ადიგენის . . .	13.930	2.000	130	—	11.800
3	ამბროლაურის . .	18.000	18.000	—	—	—
4	ასპინძის	5.300	3.200	—	—	21.00
5	ახალქალაქის . .	9.200	—	—	8.600	600
6	ახალციხის . . .	18.750	3.900	3.000	8.100	3.750
7	ბაშკირეთის . . .	8.600	—	3.000	—	5.600
8	ბოგდანოვკის . . .	60.020	—	1.800	4,220	—
9	ბორჩალოს . . .	20.190	500	1 600	6.400	11.690
10	ბორჯომის . . .	12.700	9000	3.700	—	—
11	გეგეჭკორის . . .	34.740	34.740	—	—	—
12	გორის	22.300	22.300	—	—	—
13	გურჯაანის . . .	19.400	19,400	—	—	—
14	დუშეთის	17.100	17.100	—	—	—
15	ვანის	15 970	15.970	—	—	—
16	ზემო-სვანეთის .	600	600	—	—	—
17	ზესტაფონის . . .	43.300	43.300	—	—	—
18	ზუგდიდის . . .	22 530	21.530	900	—	—
19	თბილისის	10.200	10 200	—	—	—
20	თელავის	17.200	16 200	1 000	—	—
21	თეთრი-წყაროს .	14.600	10 600	4.000	—	—
22	თიანეთის	15 400	5 400	—	—	—
23	კასპის	18 700	18 700	—	—	—
24	ლაგოდეხის . . .	23.060	19.460	3.600	—	—
25	ლანჩხუთის . . .	13.650	13.650	—	—	—
26	ლორეტკანმბურგის . .	2.250	500	300	450	1000
27	მახარაძის . . .	18130	16.450	1,680	—	—
28	მაიაკოვსკის . . .	14.630	14.630	—	—	—
29	მცხეთის	17.270	17.270	—	—	—
30	ონის	8.720	8.720	—	—	—
31	ორჯონიკიძის . .	22.430	22,430	—	—	—
32	საგარეჯოს . .	12.200	12.200	—	—	—
33	სამტრედიის . . .	20 840	20.840	—	—	—
34	სახელრის	47.300	47.300	—	—	—
35	სიღნაღის . . .	8.500	8.500	—	—	—
36	ტყიბულის . . .	5.580	5.580	—	—	—

ეროვნული ბიბლიოთეკა

	რაიონები	ნაზმარ სტაბილურ საზელმძღვანელოების შესყიდვის ვგეგმა 1942-43 სასწ. წელში				
		სულ	მათ შორის			
			ქართული სკოლ.	რუსული სკოლ.	სომხ. სკოლ.	აზერბ. სკოლ.
37	ქარელის	8.000	8 000	—	—	—
38	ქვემო-სვანეთის . .	3.400	3.400	—	—	—
39	ქ. ქუთაისის . . .	20 550	17.400	3.150	—	—
40	ქუთაისის	19 400	19 400	—	—	—
41	ყაზბეგის . . .	3.730	3,730	—	—	—
42	ყარაიაზის . . .	2.380	—	700	—	16 80
43	ყვაოელის . . .	5 700	5.700	—	—	—
44	ჩოხატაურის . .	15 300	15.300	—	—	—
45	ჩხარის	13.100	13.100	—	—	—
46	ჩხოროწყუს . . .	10.800	10.800	—	—	—
47	ფოთის	3.900	1.600	2 300	—	—
48	ცაგერის	12.100	12 100	—	—	—
49	ცხაკაიას	15.000	15.0 0	—	—	—
50	წალენჯიხის . . .	7.100	7.100	—	—	—
51	წალკის	10.200	—		—	—
52	წით. წყაროს . . .	7 600	7,600	—	—	—
53	წულუკიძის . . .	16.500	16 500	—	—	—
54	წყალტუბოს . . .	8.300	8.300	—	—	—
55	ქალ. ჭიათურის .	4.700	4.700	—	—	—
56	ჭიათურის	18.450	18 450	—	—	—
57	ხაშურის	8,500	8.500	—	—	—
58	ხობის	4 900	4.900	—	—	—
	სულ რაიონებში .	810,750	699.970	41.060	27.770	41.950
59	აფხაზეთის ასსრ .	9 350	23.300	17.250	8.800	—
60	აჭარის ასსრ . . .	487 00	37 000	—	—	—
61	ს/ოსეთის ა. ო. . .	1.6300	11.630	—	—	—
	სულ ავტ. რესპ. .	97.980	97.9380	17,250	8.800	—
62	ქალაქი თბილისი .	127530	53160	56.570	16.500	13.100
	სულ რესპუბლიკაში	1036260	825060	114.880	93 070	43 250

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანება № 1006

განათლების სახალხო კომისარიატისადმი

1943 წ. 14 აპრილს

ქ. თბილისისა და ქ. ქუთაისის რამდენიმე სკოლაში მოსწავლეთა აღზრდის დარგში არსებული დაბახინჯებების აღკვეთის შესახებ

აღვნიშნავ, რომ ამ უკანასკნელ ხანებში, ქ. თბილისის და ქ. ქუთაისის რამდენიმე სკოლაში აკადემიურად ჩამორჩენილ და დისციპლინის დამრღვევ მოსწავლეთა მიმართ იყენებენ პედაგოგიურად გაუმართლებელ ისეთ მეთოდებსა და ფორმებს, რაც ეწინააღმდეგება მოსწავლეთა აღზრდის პრინციპებს და დაგმობილია სკოლის შესახებ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის ისტორიული დადგენილებებით.

შემოწმებამ ცხადჰყო, რომ ცალკეული სკოლები ქ. თბილისსა და ქ. ქუთაისში აკადემიურად ჩამორჩენილ და დისციპლინის დამრღვევ მოსწავლეთა გამოსწორების მიზნით ეწევიან ამ მოსწავლეთა საჯარო გაკიცხვას და მიმართავენ სხვა ისეთ მეთოდებსა და ზემოქმედების ფორმებს, რომლებიც არამც თუ ხელს უწყობენ მოსწავლის ენერგიისა და ინტერესის მობილიზებას ჩამორჩენილობის აღმოფხვრისა და გამოსწორებისათვის, არამედ ჰკლავენ მასში ყოველგვარ ინიციატივასა და სურვილს გახდეს ფრიადოსანი და საესებით დისციპლინებული მოსწავლე.

ქალ. თბილისის 56-ე სკოლაში (დირექტორი ე. ვ. მესხი) პერიოდულად ტარდება ე. წ. „დამკვრელი დეკადები", რომლის დანიშნულებაა გამოავლინოს და საჯაროდ გაჰკიცხოს აკადემიურად ჩამორჩენილი და დისციპლინის დამრღვევი მოსწავლეები. ამ საქმეს ემსახურება სკოლაში შემოღებული საერთო სასკოლო დეკადური შეჯამებული ფურცელი, რომელშიაც შავი ფერებით არის აღნიშნული სკოლის ჩამორჩენილი კლასები და ყველა აკადემიურად ჩამორჩენილი და დისციპლინის დამრღვევი მოსწავლე. ქ. თბილისის მე-17 სკოლაში (დირექტ. გ. ბ. კობახიძე) მოსწავლეთა გაკიცხვასა და დაცინვას ეწევიან კედლის გაზეთისა და ბიულეტენების ფურცლებზე, სკოლის დირექტორს გ. კობახიძეს კი, ეს ზომა ერთერთ უმთავრეს

ღონისძიებად მიაჩნია მოსწავლეთა აკადემიური ჩამორჩენილობის აღმოფხვრისა და დისციპლინის დამრღვევ მოსწავლეთა გამოსწორებისათვის. ქ. ქუთაისის მე-13 საშ. სკოლაში (დირექტორი ალ. გაჩეჩილაძე), 1943 წლის 18 იანვრიდან გამოდის დირექციის მასწავლებელთა და მოსწავლეთა ყოველდღიური ორგანო „ფრიადოსანი მოსწავლე", სადაც ფართოდ არის გამოყენებული მოსწავლეთა მასობრივად გაკიცხვის, დაცინვის, კარიკატურის მოთავსების და მოსწავლეთა შეურაცყოფის სხვა ფორმები. ორი თვის მანძილზე— 18/1-დან 20 მარტამდე, ამ სკოლის 449 მოსწავლიდან სხვადასხვა სახით გარიცხულია 161 მოსწავლე. კედლის გაზეთის ერთერთი მეთაური წერილი შემდეგი სახით არის დასათაურებული: „ცუდოსანი დეზერტირია". სკოლის დირექტორ ალ. გაჩეჩილაძეს გაზეთის ძირითად ამოცანად ცუდოსანი და დისციპლინის დამრღვევი მოსწავლეების საჯაროდ გაკიცხვა მიაჩნია.

აკადემიურად ჩამორჩენილ და დისციპლინის დამრღვევ მოსწავლეთა მიმართ ზემოქმედების ამ მიუღებელი და დაგმობილი მეთოდების გამოყენება იმის შედეგია, რომ „აღნიშნული სკოლების დირექტორებს არ შესწევთ უნარი გაიგონ და სათანადოდ გაატარონ განსახკომის დირექტივები მოსწავლეთა აღზრდის შესახებ, ხოლო ქ. თბილისის და ქუთაისის განათლების განყოფილებანი სუსტი ხელმძღვანელობისა. და არა საკმაო კონტროლის შედეგად დროულად ვერ ღებულობენ საჭირო ღონისძიებებს არსებული დამახინჯებების აღმოფხვრისათვის.

ვთვლი რა დაუშვებლად და ანტიპედაგოგიურად მოსწავლეთა საჯაროდ გაკიცხვის მეთოდების გამოყენებას სკოლის სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობაში, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაუყოვნებლივ იქნეს აღკვეთილი აკადემიურად ჩამორჩენილ და დისციპლინის დამრღვევ მოსწავლეთა მიმართ ხელოვნურად მოგონილი, პედაგოგიურად გაუმართლებელი მეთოდების გამოყენება, როგორიცაა მოსწავლის საჯაროდ გაკიცხვა, შავ დფაზე 'გამოცხადება, კედლის გაზეთებში გაწერა და სხვა ისეთი ღონისძიებების გატარება მათ მიმართ, რასაც შედეგად მოსდევს მოსწავლის დამცირება და მისი ღირსების აბუჩად აგდება.

2. დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლების დირექტორებმა (გამგეებმა) არ დაუშვან ამგვარი პედაგოგიურად შეუმოწმებელი მეთოდების გამოყენება და აღმზრდელობითი მუშაობა მოსწავლეთა მორის აწარმოონ სკოლის შესახებ საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-სა და სსრ. კავშირის სახკომსაბჭოს ისტორიულ დადგენილებების საფუძველზე განსახკომის მიერ მიღებული დირექტივების მიხედვით.

3. ქ. თბილისის განათლების განყოფილების გამგემ ამხ. ა. გიორგაძემ და ქ. ქუთაისის განათლების განყოფილების გამგემ ამხ. ჯ. კოპალაძემ:

ა) 25 აპრილამდე შეისწავლონ ქალ. თბილისის და ქალ. ქუთაისის სკოლებში აკადემიურად ჩამორჩენილ და დისციპლინის დამრღვევ მოსწავლეების გამოსწორების მიზნით გატარებული ღონისძიებანი და აუკრძალონ სკოლებს მომავალში მოსწავლეთა აღზრდის დარგში პედაგოგიურად მიუღებელი ზომების გამოყენება.

ბ) გამოარკვიონ ჩამორჩენილ და დისციპლინის დამრღვევ მოსწავლეების მიმართ პედაგოგიურად გაუმართლებელი მეთოდებისა და ფორმების გამოყენების საქმეში პერსონალური დამნაშავენი და მათ შესახებ საკითხი დააყენონ განსახკომის წინაშე.

4. რაიონისა და ქალაქის განათლების განყოფილებათა გამგეებმა ეს ბრძანება 30 აპრილამდე, განიხილონ სკოლების დირექტორების თათბირზე, უზრუნველყონ ბრძანების ზუსტად შესწავლა თითოეული მასწავლებლის მიერ და ყველა სკოლაში გაატარონ საჭირო ღონისძიებანი, რათა მოსწავლეთა აღზრდის დარგში ადგილი არ ექნეს მსგავს დამახინჯებებს.

5. ა/წ 5 მაისამდე იქნეს მოსმენილი საქართველოს სსრ განსახკომის კოლეგიის სხდომაზე ქ. თბილისის და ქ. ქუთაისის განათლების განყოფილებათა გამგეების მოხსენება ამ ბრძანების შესრულების შედეგების შესახებ.

ხაკ. სსრ განათლების ხახ. კომისარი ვ. კიკნაძე

ბრძანება № 1149

განათლების ხახალხო კომისარიატისადმი

1943 წ. 10 მაისი

ქ. ქუთაისის და სამტრედიის-რაიონის ზოგიერთ სკოლის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებისა და დამახინჯებათა შესახებ

აღვნიშნავ, რომ ქ. ქუთაისის და სამტრედიის რაიონის სკოლების სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში ადგილი აქვს ზოგიერთ ნაკლოვანებებს და დამახინჯებებს.

განსახკომის კოლეგიას მიერ 1941 წლის 21 მაისს დამტკიცებული დებულება სკოლის სანიტარულ-ჰიგიენური რეჟიმის დაცვის

შესახებ არ არის დაცული ქ. ქუთაისის მე-2, მე-8, მე-3, მე-14 და სამტრედიის 1-ლ და მე-2 საშუალო სკოლებში: შენობები და ინვენტარი მოუვლელია, საკლასო ოთახების ფანჯრის მინები ჩამტვრეულია, ინვენტარი შეუკეთებელია, მერხები და სამასწავლებლო მაგიდები აქა-იქ ამოგრილია, იატაკებზე გვხვდება მიმხმარი ტალახი, ლაბორატორია-კაბინეტების ხელსაწყოები დამტვერიანებულია და უსისტემოდაა ჩაყრილი კარადებში, მასწ ვლებელთათვის არ არის გამოყოფილი ცალკე საპირფარეშოები, ზოგიერთ საპირფარეშოს კარებიც კი არა აქვს და არც იწმინდება. სკოლის დერეფნებისა და საკლასო ოთახების კედლებზე და აგრეთვე მერხებზე პორნოგრაფიული წარწერები და ნახატებია.

ზოგიერთი მასწავლებელი წინასწარ სათანადოდ არ მუშაობს, არ ადგენს გაკვეთილის გეგმებს, არ ამზადებს გაკვეთილისათვის საჭირო დიდაქტიკურ მასალებს და გაკვეთილზე ზოუმზადებელი ცხადდება. მაგ. ქ. სამტრედიის 1-საშუალო სკოლის მასწავლებელმა ხ. კოპალეიშვილმა მე-10 კლასში ტრიგონომეტრიის გაკვეთილზე ვერ ამოხსნა მოსწავლეთათვის მის მიერვე მიცემული ტრიგონომეტრიული განტოლება; ამავე რაიონის კულაშის საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელმა, ვ. ლომაძემ ვერ ამოხსნა რა მაგალითი ალგებრაში, გაკვეთილი ასე დაამთავრა: „დღეს არ გამოდის, მაგრამ შემდეგ გაკვეთილზე ვცადოთ რა გამოვაო“, ქ. ქუთაისის მე-8 საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელმა თ. ჯინჭველაშვილმა ვერ შეამჩნია და არ გაუსწორა მოსწავლეებს დაშვებული შეცდომები.

ზოგიერთ სასწავლო დისციპლინაში, განსაკუთრებით ისტორიაში, გეოგრაფიაში და გეომეტრიაში, ადგილი აქვს მოსწავლეების მხრივ მასალების მექანიკურ ზეპირობას. მაგ., ქ. სამტრედიის 1-ლ და მე-2 საშუალო სკოლების გეოგრაფიის (მასწავლებლები აროგელიძე და სირაძე), სამტრედიის რაიონის კულაშის საშუალო სკოლის გეოგრაფიის (მასწ. კოხრეიძე), ამავე რაიონის ვ. სტურუას სახელობის კულაშის საშუალო სკოლის მათემატიკის (მასწ. ტ. ფესვიანიძე), ქ. ქუთაისის მე-14 საშუალო სკოლის გეოგრაფიის (მასწ. ნ. კლდიაშვილი), ამავე სკოლის მათემატიკის (მასწ. ჯიქია) და ქუთაისის მე-8 სკოლის ისტორიის (მასწ. თ. ჯინჭველაშვილი) გაკვეთილებზე მოსწავლეები სიტყვა-სიტყვით გაზეპირებულად და ამავე დროს გაუაზრებლად პასუხობენ სახელმძღვანელოდან, ხოლო თვით მასწავლებლები ასევე გაზეპირებულად აწვდიან მოსწავლეებს. სახელმძღვანელო წიგნიდან ნასალებს.

ზოგიერთი მასწავლებელი არ ითვალისწინებს, რომ სწავლებას უნდა ჰქონდეს აღმზრდელობითი ხასიათი, კმაყოფილდება მოსწავ-

ლეთათვ·ს მხოლოდ ცოდნის მიწოდებით და სწავლების პროცესში უგულებელჰყოფენ მოსწავლეებში ნებისყოფის, ხასიათის, დისციპლინის, საბჭოთა პატრიოტიზმის, ჰუმანიზმის, მეგობრობისა, ამხანაგობის გრძნობისა და სხვა თვისებათა აღზრდას. მაგ., სამტრედიის რაიონის კულაშის საშუალო სკოლაში, ისტორიის გაკვეთილზე (მე-7 კლ.) მასწავლებელმა, თემა: მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარება მე-16—17. საუკუნეებში მშრალი, წიგნური ენით ახსნა და საუკეთესო მასალა ბრუნოს, კოპერნიკის, გალილეის, დეკარტეს, ბეკონის და სხვ. ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ არ გამოიყენა მოსწავლეებში ნებისყოფის, სამართლიანობის, კეთილშობილების და თავმოყვარეობის გრძნობის აღსაზრდელად; ქ. ქუთაისის მე-8 საშუალო სკოლაში, ისტორიის გაკვეთილზე მასწავლებელმა ახსნა 1812 წ. ომი და ერთი სიტყვაც არ სთქვა დღევანდელი დიდი სამამულო ომის შესახებ; იგივე ითქმის გეოგრაფიის და მათემატიკის გაკვეთილების (სამტრედიის 1-ლი, კულაშის, ქუთაისის მე-14 და სხვ. საშუალო სკოლების) შესახებაც

ნაცვლად იმისა, რომ განახორციელონ მოსწავლისადმი ინდივიდუალური მიდგომა და გამოიყენონ პრაქტიკაში შემოწმებული და დადგენილი მეთოდები და ფორმები იმ მოსწავლეებზე ზემოქმედებისათვის, რომლებიც აკადემიურად ჩამორჩებიან და დისციპლინას არღვევენ, ქ. ქუთაისის მე-13 სკოლაში (დირექტორი ალ. გაჩეჩილაძე) მიმართავენ მოსწავლეთა ღირსების დამცირებელ ზომებს (საჯარო გაკიცხვა, კარიკატურები და სხვ.).

ვთვლი, რომ ეს ნაკლოვანებანი და დამახინჯებანი ქ. ქუთაისის და სამტრედიის რაიონის ზოგიერთ სკოლაში შედეგია იმისა, რომ ზემოაღნიშნული სკოლების ზოგიერთი დირექტორი სუსტად მუშაობს თავისთავზე, სათანადოდ არ იცნობს საკ. კ. ᲗᲐ. (ბ) ც. კ.-ის და საბჭოთა მთავრობის ისტორიულ დადგენილებებს სკოლის შესახებ, კონკრეტულ დახმარებას არ უწევს მასწავლებლებს პედაგოგიური თეორიისა და მოწინავეთა გამოცდილების გაზიარების საქმეში, არ ასრულებს განსახკომის დირექტივას იმის შესახებ, რომ სკოლის დირექტორი და სასწავლო ნაწილის გამგეები ყოველ-დღიურად ესწრებოდნენ 1—2 გაკვეთილს, —ამოწმებდეს სასწავლო-სააღზრდელო მუშაობას, იღებდნენ საჭირო ზომებს ნაკლოვანებათა დაუყოვნებლივ აღმოფხვრისათვის, ხოლო განათლების განყოფილებები არ უწევენ საკმაო ხელმძღვანელობას და კონტროლს სკოლებს.

ᲒᲐᲠᲓᲘᲐᲜᲔᲑ:

1. ქ. ქუთაისისა და სამტრედიის რაიონის განათლების განყოფილების გამგეებმა აკ. კოპალაძემ, ტ. გეგუჩაძემ, ერთი დეკადის

ვადაში გადასინჯონ განყოფილებათა მე-3 კვარტალის სამუშაოთა [illegible] მები და გაითვალისწინონ სკოლებში სანიტარულ-ჰიგიენური რეჟიმის დაცვის, ცალკე სასწავლო დისციპლინების სწავლების დიდი სამამულო ომის ამოცანების შესაბამისად გარდაქმნის, აღმზრდელობითი ხასიათის საკითხების—ნებისყოფის, სიბეჯოთა პატრიოტიზმის, შეგნებული დისციპლინის, მეგობრობის გრძნობის, მოსწავლეთა პირადი კულტურის და სხვ. აღზრდისა, აკადემიურად ჩამორჩენილ და დისციპლინის დამრღვევ მოსწავლეებზე პედაგოგიური ზემოქმედების ღონისძიებათა, სკოლის დირექტორების, სასწავლო ნაწილის გამგეების და მასწავლებლების, პედაგოგიური კულტურის ამაღლების ღონისძიებათა გატარებისა მოსწავლეთა შორის მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის (საკლასო, კლასგარეშე და სკოლისგარეშე) ღონისძიებათა შესწავლა და მიაღწიონ იმას, რომ:

ა) სკოლებში დაცულ იქნეს დადგენილი სანიტარული რეჟიმი.

ბ) აღკვეთილ იქნეს აკადემიურად ჩამორჩენილ და დისციპლინის დამრღვევ მოსწავლეთა მიმართ მოსწავლისათვის დამამცირებელი, ღირსების შემლახველი და პედაგოგიურად გაუმართლებელი დასჯის ისეთი მეთოდებისა და ფორმების გამოყენება (გაკიცხვა, დაცინვა, კარიკატურები და სხვ.), რაც ეწინააღმდეგება საბჭოთა სკოლაში მოსწავლეთა აღზრდის პრინციპებს.

გ) სკოლის დირექტორები, სასწავლო ნაწილის გამგეები და მასწავლებლები სისტემატურად ეუფლებოდნენ პედაგოგიკის თეორიას, ურთიერთს უზიარებდნენ მოწინავე გამოცდილებებს და გულისხმიერებით ეკიდებოდნენ თითოეული მოსწავლის აღზრდა-განვითარების საქმეს, სწავლებას აძლევდნენ აღმზრდელობით. ხასიათს და მთელ თავიანთ მუშაობას აწარმოებდნენ დიდი სამამულო ომის მიერ სკოლის წინაშე დასმულ ამოცანების შესაბამისად.

დ) განყოფილებათა საინსტრუქციო-საინსპექტორო მუშაობაში განსაკუთრებული ადგილი ეთმობოდეს სკოლის, მასწავლებლის და სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობის დარგობრივ გამოკვლევას, გამოკვლევის შედეგების განზოგადოებას და შესრულების სისტემატურ შემოწმებას.

ე) სკოლის დირექტორებისა და სასწავლო ნაწილის გამგეებისათვის სისტემატურად ეწყობოდეს ლექციები, სემინარები, კონსულტაციები, როგორც პედაგოგიკის თეორიის, ასევე განსაკუთრებით სკოლის მართვის და ხელმძღვანელობის საკითხების გარშემო და ამ მუშაობაში ფართო ადგილი ეთმობოდეს მოწინავე გამოცდილებათა გაზიარებას.

2. სკოლის დირექტორებმა (გამგეებმა) ოპერატიული ხელმძღვანელობა გასწიონ სკოლის მუშაობის ყველა უბანზე, დაამყარონ სრული წესრიგი მუშაობაში, უზრუნველჰყონ სასკოლო რეჟიმის ზუსტად დაცვა, გააძლიერონ გაკვეთილებზე დასწრება, არსებითად გაუთმჯობესონ აღმზრდელობითი მუშაობა მოსწავლეთა შორის, ზუსტად დაიცვან სასკოლო დოკუმენტების წარმოების, მოვლისა და დაცვის წესები, წესრიგში მოიყვანონ სასკოლო ბიბლიოთეკები, კაბინეტ-ლაბორატორიები, მიიღონ ზომები მასწავლებელთა პედაგოგიური მომზადების და დახელოვნების შემდგომი ამაღლებისათვის და სასტიკი ბრძოლა გამოუცხადონ სწავლებაში მექანიკური ზეპირობის დანერგვას.

3. დაევალოს ქ. ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტის დირექტორს ამხ. ლ. ჭელიძეს პედაგოგიკის და სხვა შესატყვისი კათედრების საშუალებით დაუკავშირდეს ქ. ქუთაისის განათლების განყოფილებას და სისტემატური მეცნიერულ-პედაგოგიური დახმარება გაუწიოს სკოლებს სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში.

4. ქ. ქუთაისის მე-13 საშუალო სკოლის დირექტორს ამხ. ალ. გაჩეჩილაძეს გამოეცხადოს საყვედური იმისათვის, რომ მან სკოლაში აკადემიურად ჩამორჩენილ და დისციპლინის დამრღვევ მოსწავლეთა მიმართ გამოიყენა მოსწავლის დამამცირებელი და ღირსების შემლახველი მეთოდები და ფორმები (საჯარო გაკიცხვა, დაცინვა, კარიკატურები და სხვ.).

5. ქ. ქუთაისის განათლების განყოფილების გამგეს ამხ. აკ. კოპალაძეს მიეთითოს იმაზე, რომ მან დროზე ვერ შეისწავლა და ვერ გამოავლინა მოსწავლეთა აღზრდის დარგში მე-13 საშუალო სკოლის მიერ გატარებული ანტიპედაგოგიური ღონისძიებანი. აგრეთვე დროულად არ აცნობა განათლების სახ. კომისარიატს მე-13 სკოლაში მომხდარ უბედური შემთხვევის შესახებ.

6. ქ. ქუთაისის განათლების განყოფილებამ შეისწავლოს ქ. ქუთაისის მე-8 საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებლის თ. ჯინჭველაშვილის, ხოლო სამტრედიის რაიონის განათლების განყოფილებამ კულაშის საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებლის ვ. ლომაძის მუშაობა 1943/44 სასწავლო წლიდან მასწავლებლის თანამდებობაზე მათი გამოყენების მიზანშეწონილობის თვალსაზრისით და დასკვნები წარმოადგინონ განსახკომში ა/წ 1 ივნისამდე.

7. დაევალოს საქართველოს სსრ. განსახკომის სამეცნიერო საბჭოს პედაგოგიურ სექციას ათი დღის ვადაში განიხილოს ბროშურა „მოსწავლეთა სასკოლო კედლის გაზეთი“ (ავტორები გ. მდივნიშვილი და კ. ებანოიძე, დაწყებითი და საშუალო სკოლის სამეც-

ნიერო-საკვლევო ინსტიტუტის გაერკვევა, 1941 წ.) და დასკვნა ბროშურის ვარგისიანობის შესახებ წარმოადგინოს კოლეგიის სხდომაზე განსახილველად.

8. ეს ბრძანება განხილულ იქნას საქართველოს სსრ რესპუბლიკის ყველა სკოლის პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე ა/წ 25 მაისამდე და აქედან გამომდინარე გატარდეს სათანადო ღონისძიებანი.

საფუძველი: სსსრ განსახკომის კოლეგიის 1943 წლის 3 მაისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარი გ. კიკნაძე

აფხაზეთის და აჭარის ასსრ განსახკომებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო განათლების განყოფილების გამგეს და სახალხო განათლების ყველა სარაიონო და საქალაქო განათლების განყოფილების გამგეებს

27—II—1943 წ. №—61.

საქართველოს სსრ განსახკომის 1942 წლის 5 სექტემბრის № 263 სადირექტივო წერილით თქვენ გევალებოდათ გესწავლებინათ რუსული ენა 90 საათიანი პროგრამით იმ მოქალაქეთათვის, რომელნიც გადიან საყოველთაო-სამხედრო სავალდებულო სწავლებას და არ იციან რუსული ენა. პირველ რიგში ეს მუშაობა უნდა ჩატარებულიყო 1925 წელს დაბადებულთა შორის, ამასთანავე უზრუნველგეყოთ ამ მეცადინეობაში სხვა ასაკების ჩაბმაც. შემოწმებამ მასალებით ირკვევა, რომ რიგ რაიონებში მუშაობა ამ მიმართულებით არ სწარმოებს. კერძოდ, რუსული ენის სწავლებაში არ არის ჩაბმული 1926 წელს დაბადებული ახალგაზრდობა, რომელიც ამჟამად გადის საყოველთაო-სამხედრო სავალდებულო სწავლებას.

აღნიშნულისა გამო გევალებათ: ა) ადგილობრივი სამხედრო კომისარიატებთან შეთანხმებით დაიზუსტოთ როგორც რუსული ენის არ მცოდნე, ისე მშობლიურ ენაზე წერა-კითხვის უცოდინარ და მცირე-მცოდნე 1926 წელში დაბადებულთა კონტიგენტი, გახსნათ სკოლები საყოველთაო სამხედრო სავალდებულო სწავლების წერტილებთან და ჩაებათ შესაფერის სწავლებაში;

ბ) რუსული ენის არ მცოდნე და მშობლიურ ენაზე წერაკითხვის უცოდინარ და მცირემცოდნე 1926 წელში დაბადებულ კონტინგენტისათვის გახსნილ სკოლებში სწავლა უნდა დამთავრდეს ა/წ 30 მაისამდე.

გ) როგორც რუსული ენის, ისე მშობლურ ენაზე წერაკითხვის შემსწავლელ სკოლებში სამუშაო დღის დატვირთვა შეფარდებული უნდა იქნას ამ სკოლების სასწავლო გეგმისა და სწავლების დასამთავრებლად გათვალისწინებულ ვადასთან.

დ) აღნიშნული სკოლები უზრუნველყოთ კვალიფიციური მასწავლებლებით, სასწავლო ნივთებით, სახელმძღვანელოებით მშობლიურ და რუსულ ენებზე, რვეულებით და სხვა, საყოველთაო სამხედრო სწავლების წერტებთან არსებულ რუსული ენის სკოლებისათვის გამოცემულია სპეციალური სახელმძღვანელო:

„Краткий учебник русского языка для бойцов всевобуча“ და „Программнометодические указания по обучению русскому языку бойцов всевобуча невладеющих русским языком“ რაც თქვენ გადმოგეგზავნათ სამხედრო ვაჭრობის ადგილობრივი წერტების საშუალებით;

ე) სამხედრო კომისარიატებისა და მშრომელთა დეპუტატების საბჭოების დახმარებით უზრუნველყოთ მსმენელთა უკლებლივი დასწრება მეცადინეობაზე და არ დაუშვათ მეცადინეობის გაცდენისა და აგრეთვე დაგვიანების შემთხვევები, რაიაღმასკომის პრეზიდიუმზე თვეში ერთხელ მაინც დასვათ წერაკითხვის უცოდინარ, მცირემცოდნე და რუსული ენის არ მცოდნე წვევამდელთა სწავლების საკითხი ამ სკოლების მუშაობის გაუმჯობესების მიზნით.

განათლების განყოფილებათა გამგეებმა პირადად უხელმძღვანელონ წვევამდელთა სწავლების საქმეს და უზრუნველყონ აღნიშნულ ღონისძიებათა გატარება.

20 მარტამდე წარმოადგინეთ განსახკომში წერილობითი მოხსენება ჩატარებული მუშაობის შესახებ, რომელშიაც აღნიშნეთ სწავლებაში ჩაბმულ წვევამდელთა რაოდენობა (ამ ცნობების საფუძველზე მოხდება რვეულებისა და სახელმძღვანელოების დამატებით განაწილება. აგრეთვე ადგილებზე მიღებულ უნდა იქნას ზომები ნახმარი სახელმძღვანელოების შესაგროვებლად).

30 მაისისათვის წარმოადგინეთ 1926 წელში დაბადებულ წვევამდელთათვის გახსნილი სკოლების მუშაობის საბოლოო ანგარიში და გამოსაშვები წერითი ნამუშევრები რუსულ ენაში.

საქ. სსრ განათლების სახ. კომისარი მ. ძიკნაძე
პოლიტგანმუშაობის სამმართველოს უფროსი ა. ბაბისოვნია

ეროვნული ბიბლიოთეკა

აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განსახკომეს, სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის სახალხო განათლების სოოლქო განყოფილებას, სახალხო განათლების ყველა სარაიონო და საქალაქო განყოფილებათა გაგზავნეს

1943 წ. 28 თებერვალი № 72

შეტევაზე გადასული ჩვენი გმირული წითელი არმია წარმატებით მიიწევს წინ, დასავლეთისაკენ, ანადგურებს გერმანელ ფაშისტთა ყაჩაღურ ურდოებს, ანთავისუფლებს ჩვენს მშობლიურ მიწა-წყალს.

წითელი არმიის საბრძოლო საქმეებმა, რომელებსაც იგი ჩვენი დიდი ბელადის, უმაღლესი მთავარსარდლის — ამხანაგ სტალინის გენიალური სტრატეგიული გეგმით ანხორციელებს, ახალი საწარმოო და პოლიტიკური აღმავლობა წარმოშვა ჩვენი ქვეყნის მშრომელთა ფართო მასებში.

წითელი არმიის მებრძოლთა ვაჟკაცობა და სიმტკიცე იწვევენ მშრომელთა მასებში მისწრაფებას — კიდევ უფრო გააძლიერონ დახმარება ფრონტისადმი, მისცეს წითელ არმიას მეტი იარაღი და საჭურველი, მეტი პური, კარტოფილი, ხორცი, ნედლეული და ამით დაიჩქარონ უმოკლეს დროში საზიზღარი მტრის საბოლოო განადგურება.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ. კომიტ. პლენუმმა საქართველოს სოფლის მეურნეობის წინაშე სერიოზული ამოცანა დააყენა. ამოცანა ასლა ის არის, რომ პოლშევიკურად განვახორციელოთ პლენუმის გადაწყვეტილებანი, სანიმუშოდ მოვემზადოთ საგაზაფხულო თესვისათვის, თესვა ჩავატაროთ ორგანიზებულად და მაღალ აგროტექნიკურ დონეზე, საუკეთესოდ მოვუაროთ ჩაის, ციტრუსების და სხვა სუბტროპიკულ ნარგავებს, გავაფართოვოთ მარცვლეულის მეურნეობა და უზრუნველყოთ წელს უხვი სამხედრო მოსავლის მიღება და საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობა.

1943 წელს მაღალი, საომარი დროის შესაფერისი მოსავლის მიღება, წითელი არმიისა და ქვეყნისათვის მეტი სურსათსანოვაგისა და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის მიწოდება ესაა გმირული წითელი არმიისადმი საქმით დახმარება იმ უდიდეს ისტორიულ ბრძოლაში, რომელსაც იგი თავგანწირულად აწარმოებს ჩვენი საბჭოთა სამშობლოს ღირსებისა და თავისუფლებისათვის. ამიტომ საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მომზადება და თავის დროზე ჩატარება წარმოადგენს ომის დროის ერთერთ ყველაზე მნიშვნელოვან, საბრძოლო ამოცანას.

1943 წლის საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მაღალხარისხოვნად მომზადებისა და ჩატარებისათვის საჭირო ფართოდ გაიშალოს სოფლის მშრომელთა მასებში მასობრივ-საორგანიზაციო მუშაობა, ყოველმხრივად გაუმჯობესდეს მისი ხარისხი, სოფლის პოლიტგანმუშაკთა პატრიოტულ მოვალეობას შეადგენს ის, რომ თესვასთან და ნათესების მოვლა-დამუშავებასთან დაკავშირებით თავიანთი მასობრივ-საორგანიზაციო მუშაობა მაღალ საფეხურზე აიყვანონ როგორც ორგანიზაციულად, ისე იდეურ-პოლიტიკურად და ამით ხელი შეუწყონ 1943 წლის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა წარმატებით ჩატარებას.

პოლიტგანდაწესებულებებმა კიდევ უფრო უნდა გააძლიერონ აგროზოოტექნიკური პროპაგანდა, კიდევ უფრო ფართოდ გაშალონ სათანადო წრეების მუშაობა და ხელი შეუწყონ სოფლის მეურნეობაში ქალთა შრომის ფართოდ დანერგვას, შეასწავლონ სოფლის მშრომელებს მაღალი მოსავლის მიღების ოსტატობა, კოლმეურნე-ქალთა შრომის მეტი ნაყოფიერების მიზნით ხელი შეუწყონ სანავშვო ბაგების, მოედნების ორგანიზაციასა და მუშაობას კოლმეურნეობაში.

პოლიტგანმუშაკებმა ხელი უნდა შეუწყონ წითელარმიელთა ოჯახებისათვის შრომითი დახმარების გაწევას მიწის ნაკვეთის დამუშავებაში; ასევე ხელი შეუწყონ სამხედრო ნაკვეთების დამუშავებას და დახმარე მეურნეობის ორგანიზებას და აგრეთვე იზრუნონ დამხმარე მეურნეობათა მოწყობისათვის თავიანთ დაწესებულებებთან, მემნიდვრეობის თითოეული ბრიგადისათვის პოლიტგანდაწესებულებებმა უნდა გამოჭყონ აგიტატორები, რომლებიც სისტემატურად ჩაატარებენ კოლმეურნეობებთან საუბრებს, გაზეთის ხმამაღლა კითხვას, წაუკითხავენ და განუმტკიცენ მათ საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობებს, პარტიის, მთავრობის და სამხედრო ორგანოების დადგენილებებს, რადიოგადაცემებს. აგიტატორებმა უნდა გააცნონ კოლმეურნეებს სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრ. კომიტეტის დადგენილება „1943 წ. მინდვრის სამუშაოებისათვის მტს-ების ტრაქტორებისა, კომბაინებისა და სხვა სამეურნეო მანქანების მომზადების შესახებ".

განხილული უნდა იქნას აგრეთვე ქობულეთის რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა 1943 წ. 20/II შეკრების მიმართვა დასავლეთ-საქართველოს რაიონების ყველა კოლმეურნის, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მუშებისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებისადმი ჩაის, ციტრუსების, მარცვლეულის მაღალი სამხედრო მოსავლის მიღებისა და მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ". პოლიტგანმუშაკთა ვალია დაეხმარონ კოლმეურნეებს ამ მოწოდების საფუძველზე აღებულ ახალ ვალდებულებათა გატარებასა და განხორციელებაში.

ამასთან ერთად პოლიტგანდაწესებულებებმა უნდა მიაღწიონ იმას, რომ თითოეულ ბრიგადაში სისტემატურად გამოდიოდეს სა-

ველე გაზეთები. კედლისა და საველე გაზეთების, საბრძოლო ფურცლების, გამოფენების, მაჩვენებელთა დაფების მეშვეობით პოპულარიზაციისა
განდაწესებულებებმა ფართოდ უნდა გააშუქონ თესვისათვის მზადების, მისი ჩატარებისა და ნათესების მოვლა-დამუშავების მიმდინარეობა, კოლმეურნეობებს, ბრიგადებს, რგოლებს შორის საცალისტური შეჯიბრების მსვლელობა, განაზოგადონ მოწინავეთა გამოცდილება, გამოამჟღავნონ ნაკლოვანებანი და დასახონ ღონისძიებანი ჩამორჩენის ლიკვიდაციისათვის.

თავის მასობრივ-საგაგიტაციო მუშაობაში პოლიტგანდაწესებულებებმა ფართოდ უნდა გამოიყენონ სასოფლო-სამეურნეო შინაარსის წიგნები, პლაკატები, ლოზუნგები, კოლმეურნეობებსა და ბრიგადებში ოთაწყონ მოძრადები, ფართოდ გაშალონ საცნობო-საკონსულტაციო მუშაობა საგაზაფხულო თესვასთან და ნათესების მოვლა-დამუშავებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

შესაფერისად უნდა მოეწყოს კოლმეურნეთა მხატვრული მომსახურეობა, უმთავრესად მათს სამუშაო ადგილზე, რისთვისაც გამოყენებული უნდა იქნას ავიმხატვრული ბრიგადები, თვითმოქმედი კოლექტივები შესაფერისი რეპერტუარით

თავის მასობრივ-სააგიტაციო მუშაობას პოლიტგანდაწესებულებებმა საფუძვლად უნდა დაუდვან 1943 წლის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ადგილობრივი გეგმა და სათანადო ორგანიზაციებთან ერთად შეიმუშაონ ამ სამუშაოთა კულტმომსახურეობის ღონისძიებანი.

განათლების სახალხო კომისარიატი წინადადებას აძლევს სახალხო განათლების ყველა სარაიონო და საქალაქო განყოფილებას, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა კულტმომსახურების ერთიანი გეგმის საკუთველზე, სათანადო ხელმძღვანელობა და დახმარება გაუწიონ პოლიტგანდაწესებულებებს, რათა მათ ფართოდ გაშალონ ყველა სახის მასობრივი ღონისძიებანი და მთელი თავისი საგაგიტაციო პროპაგანდისტული მუშაობა დაუმორჩილონ 1943 წლის თესვისა და ნათესების მოვლა-დამუშავების წარმატებით ჩატარების ამოცანას.

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისრის მოადგილე
მ. ბურჯუულაძე

პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობის სამმართველოს უფროსი
ა. ბაბისოლნია

პ/მგებელი რედაქტორი ბ. ი. კიზირია

საქ. დდგ. მრეწ. სახ. კომისარიატის სტამბა, ფურცელაძის ქ. № 5

შეკვ. № 454 უე1998 ტირაჟი 400